სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	ქუთაისის „ბაგრატი“ - წყალტუბოს „დინოზავრი“		
გუნდი	ქუთაისის „ბაგრატი“	შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	11/11/2023	მატჩის ადგილი	ქუთაისი, აია არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
სტატუსი	მოთამაშე	დაბადების თარიღი	01/12/1994
სახელი, გვარი	თორნიკე იობიძე		
☒მსაჯი ☐საათინგ კომისარი	ლევან ბიბიჩაძე	დარღვევა	☐ აღიარებულია ☒ უარყოფილია
დარღვევა	**9.28 (დ)** მოთამაშემ არ უნდა გამოიყენოს მუქარის შემცავი ქმედება ან სიტყვები მატჩის ოფიციალური პირების მიმართ.	☐ წითელი ბარათი ☒ საათინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	20/11/2023	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ლევან ჩიკვაიძე, აკაკი კერესელიძე, ვახტანგ სამხარაძე		
დამრღვევის დასწრება	☐ კი ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, ლევან ბიბიჩაძის საათინგი		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის და დამხმარე მასალების ძირითადი ელემენტები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის, ლევან ბიბიჩაძის საითინგი;
2. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა;
3. მატჩის მსაჯებთან, ლევან ბიბჩაძესთან და დავით ბალუაშვილთან (კიდის მსაჯი) ონლაინ შეხვედრის(ზუმი) ვიდეოჩანაწერი;
4. ქუთაისის „ბაგრატი“-ს მოთამაშის, თორნიკე იობიძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი.

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

2023 წლის 15 ნოემბრის სადისციპლინო კომისიის სხდომის წინასწარ გამოკითხვაზე,ქუთაისის „ბაგრატი“-ს მოთამაშემ თორნიკე იობიძემ, მის მიერ საითინგში აღნიშნულ დარღვევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ:

1. ეთანხმება მსაჯის გადაწყვეტილებაზე აპელირების ფაქტს;
2. არ შეასრულა მსაჯის მოთხოვნა მიეცა მისთვის „ბაგრატი“-ს კაპიტანთან საუბარის საშუალება;
3. არ ეთანხმება საითინგში აღნიშნულ მის მიერ წარმოთქმულ ფრაზას „ახლა გავალ მაგრამ მერე აღარ გავალ“ და აკონკრეტებს, რომ მსაჯის მოთხოვნას უპასუხა „ეხლა გაცლი“ ფრაზით.
4. ეთანხმება მსაჯის მიერ წითელი ბარათის ჩვენების შემდეგ, ის მოუტრიალდა მსაჯს რეპლიკით „რაღაის წითელი ბარათი მომეცი“, რა დროსაც ის შეაჩერეს თანაგუნდელებმა.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 11/11/2023 გაიმართა I ლიგის VII ტურის მატჩი ქუთაისის „ბაგრატი“-სა და წყალტუბოს „დინოზავრს“ შორის.
2. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალის მიხედვით - მსაჯისა და „ბაგრატი“-ს კაპიტანის საუბარში ჩაერია „ბაგრატი“-ს მოთამაშე თორნიკე იობიძე (#8). მიუხედავად მსაჯის მიერ რამოდენიმეჯერ მოწოდებისა გასულიყო და მიეცა მსაჯისთვის კაპიტანთან გასაუბრების შესაძლებლობა, თორნიკე იობიძე არ ემორჩილებოდა მსაჯის მოთხოვნას და საბოლოოდ დატოვა მსაჯთან კამათის ადგილი შემახილით „ ახლა გავალ !“. ხმამაღალი შემახილის გამო მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა თორნიკე იობიძეს, რომელიც შორდებოდა შელაპარაკების ადგილს და როდესაც შეიტყო წითელი ბარათის შესახებ, მკვეთრად მოტრიალდა და გაიქაჩა მსაჯისკენ. თუმცა ის შეაჩერეს თანაგუნდელებმა და გაიყვანეს სათამაშო მოედნიდან.
3. მატჩის მსაჯებთან, ლევან ბიბჩაძესთან და დავით ბალუაშვილთან (კიდის მსაჯი) ონლაინ შეხვედრის(ზუმი) ვიდეოჩანაწერის მიხედვით - ლევან ბიბიჩაძემ (მსაჯი), „ბაგრატი“-ს მოთამაშის, თორნიკე იობიძის მხრიდან, ხმამაღალი შემახილი „ახლა გავალ“ და წითელი ბარათის ჩვენების შემდეგ თორნიკე იობიძის მკვეთრი

მოტრიალება და მისკენ გამოქაჩვა აღიქვა როგორც მუქარის შემცველი სიტყვები და მუქარის შემცველი ქმედება მის მიმართ.

მსჯელობა

1. სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების განხილვის შემდეგ დადგენილად ცნო ქუთაისის „ბაგრატი“-ს მოთამაშის, თორნიკე იობიძის მხრიდან 9.28 დ) წესის(**მოთამაშემ არ უნდა გამოიყენოს მუქარის შემცავი ქმედება ან სიტყვები მატჩის ოფიციალური პირების მიმართ.)** დარღვევა.
2. სადისციპლინო კომისიამ გაითვალისწინა თორნიკე იობიძის მიერ წინასწარი შეყოვნების პერიოდში 2023 წლის 18 ნოემბრს გამართული I ლიგის VIII ტურის გამოტოვებული მატჩი.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სანქცირების პროცედურა	
სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციებით განსაზღვრული **დარღვევის სიმძიმის შეფასება**	
☒ შეგნებული/წინასწარ განზრახული	☐ წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი
დარღვევის სახის დადგენის საფუძველი	
ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა	
დამრღვევის მოქმედების სიმძიმე:	
ქვედა ზღვარი	
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი):	
ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას:	

სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული:
მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა):
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა):
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე
დაშავებულის დაცულობის ხარისხი
დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა;
შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა;
დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი.

დარღვევის ხარისხის შეფასება. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით
ზედა ზღვარი * კვირა. შუა ზღვარი კვირა **ქვედა ზღვარი 12(თორმეტი) კვირა**

*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:

შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო;	დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;
აღიარა შეცდომა სხდომაზე	სუფთა სადისციპლინო ისტორია
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;	ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში;
	კარგი
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;	ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება

დაკლებული კვირების რ-ბა: 6 (ექვსი) კვირა/

კვირების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა : **სადისციპლინო კომისიამ, გაითვალისწინა მოთამაშის მიერ შეცდომის აღიარება, სუფთა სადისციპლინო ისტორია, კარგი ქცევა გამოკითხვისას და 9.28 დ) წესის ქვედა ზღვარით გათვალისწინებული სანქცია (12 კვირა/თამაში) შეამცირა 50%.**

შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია;
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება;
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება;

დამატებითი კვირების რ-ბა: არა

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	6 (ექვსი) კვირა/თამაში	☐ წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	22/11/2023	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი. დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები.	12/02/2024 (I ლიგის გათამაშების ცხრილის მიხედვით)	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს ეკრძალება ნებისმიერი დონის რაგბის თამაშის დროს, ყოველგვარი აქტივობა სათამაშო პერიმეტრში.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	22/11/2023

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**